ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 72 (20418) ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ. ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲔᲑᲘ — ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲗ



12 ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲑᲘᲝᲚᲘᲢᲔᲜᲨᲘ ᲙᲘ ᲝᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲐ — ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲬᲠᲘᲜᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲔᲪᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲘ. ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ — Ა. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘ ᲝᲪᲓᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲘᲝᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲕᲔᲖᲓᲐᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲗᲑᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ, ᲬᲧᲐᲚᲕᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲗᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲮᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ.

— ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ, — ᲗᲥᲕᲐ Ა. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘᲡ, — ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲣᲬᲘᲜᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲓ ᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲗ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ — ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲙᲘᲜᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲪᲘᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲝᲠᲑᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲗᲘᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲠᲪᲘᲐ. ᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ — Ა. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲙᲘᲜᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ

ხალხის სრულძალაუფლებიანობის დამკვიდრებით

საქინფორმბიუროს და გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები გვატყობინებენ, თუ როგორ მიმდინარეობდა გუშინ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში.

სოხუმი. ბოლო დღემდე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს წამდაუწუმ უბდებოდათ პაექრობა თავიანთ ოპონენტებთან. არჩევნების შესახებ კანონმა მთ მიანიჭა უფლება აწარმოონ აგიტაცია, დაიცვან სახელთა პარლამენტში სწორედ თავიანთი წარმომადგენლის ღირსება. ამასთან დაკავშირებით ამომრჩევლებს ხმის მიცემის დროს უხდებოდათ კვლავ და კვლავ აღედგინათ მეხსიერებაში კანდიდატთა პროგრამები, რათა უპირატესობა მიეცათ მათგან ყველაზე ახლობელი, ყველაზე საქმიანი პროგრამებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ გარდაქმნას, სოციალურ პროგრესს.

— კარგია, როცა არის არჩევანი, როცა შენს საარჩევნო ბიულეტენში აღნიშნულია კანდიდატების ერთბაშად სამი გვარი და შენ თვითონ წყვეტ, მათგან რომელს შეიძლება უფრო მეტად დაეყრდნო, — ამბობს ზაზა კერვალიძე, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის სამაცივრო დანადგარების ოსტატი.

ა. მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში განლაგებულ ამ საარჩევნო ოლქში შექმნილი იყო ყველა პირობა ფარული კენჭისყრისათვის. სუფთა, მოსახერხებელი კაბინები იზიდავდა ამომრჩევლებს. აქ, № 481 სოხუმის ლენინის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში, კენჭს იყრიდა ავტონომიურ რესპუბლიკაში ცნობილი ერთბაშად სამი მეცნიერი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალეკო გვარამია, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი ბორის ლაპინი და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი რევაზ სალუქვაძე. ამომრჩეველს ჰქონდათ საფიქრალი, თუ რომელ კანდიდატრაზე შეეჩერებინათ თავიანთი არჩევანი. თანასწორად მიმდინარეობს წინასაარჩევნო ბრძოლა მათ შორის, და როგორც უნდა დამთავრდეს იგი, გაიმარჯვებს მეცნიერები. ეს ხელს აძლევს ამომრჩევლებს, ხელს აძლევს იმისკენ, რომ გარდაქმნის პროცესებში დიდი მნიშვნელობა ეკუთვნოდეს სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. დიდი მუშაობა წარმოებს ავტონომიურ რესპუბლიკაში უნიკალური ბუნების დაცვისათვის. ტყეებში შეწყვეტილია სამრეწველო ჩეხვა, ფიადგენენ პლაჟებს საკურორტო ქალაქებში. შემოხვევითი როდია, რომ თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში მრავალი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატი სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის შემდგომ განვითარებას უშუალოდ უკავშირებს მეცნიერების განვითარებას.

ბათუმი. ქობულეთის რაიონის წარმომადგენლებს, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული № 501 ჩაქვის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში, არჩევნების წინ ვესაუბრეთ.

ნინო ბაჯელიძე — სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე: დეპუტატად თუ ამირჩევენ, ვიფიქრებ, რომ სოფლისთვის ტექნიკას გვაწოდებდნენ საამედოსა და დიდმწარმოებლურს. მაწუხებს სოფლის მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების პრობლემაც, რაც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმზე. მის მიერ დასახული სოფლად რადიკალურ გარდაქმნათა პროგრამა აღვიძებს შემოქმედებითს აზრს, ამასთანავე ყოველ ჩვენგანს განვიმტკიცებს მიწის პატრონის გრძნობას.

კუჩა სებისკვერაძე — ოჩხამურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის ბრიგადირი: რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, საერთოდ სოფლის პრობლემებს, სავსებით ვეთანხმები ჩემს მეტოქეს. მაგრამ სხვა რამეც მაწუხებს. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტს. მაგრამ საჭირო პრაქტიკული ნაბიჯებიც. მისი შესწავლის კურსების განწყობილი ქსელის შექმნა, სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების გამოცემა — ასეთია საკითხები, რომლებიც ჩემი საარჩევნო ოლქის ფორმის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს.

ამომრჩევლები რაღას ამბობენ?

დეპუტატი — ეს არის ადამიანი, რომელიც განუწყვეტელ უნდა ზრუნავდეს მშრომელებისათვის, — თქვა სოფელ ლეღვას კოლმეურნეობის მეციტრუსეში ართმელაძემ. — მიხარია, რომ არჩევნებს კარგი შრომითი მიღწევებით ვეგებებთო. მკვეთრად გაიზარდა ჩვენი მეურნეობის რენტაბელობა, რასაც ბევრად უნდა ვუმადლოდეთ საარენდო იჯარას. ამ პრინციპით მომუშავე მეციტრუსის რამაზ წულუკიძის ოჯახმა, მაგალითად, წლის განმავლობაში თავის ბიჯჯეტს 17 ათასი მანეთი შეატა. ეს არც არის გასაკვირი. განვლილ სეზონში 600 ტონის ნაცვლად ჩვენ 1000 ტონაზე მეტი ციტრუსი მოვკრიფეთ. საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 16 ტონას მიაღწია. აი, რა შეუძლია იჯარას.

— შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმაზე გადავედით ჩვენც, სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის მეცხოველეები, — ამბობს მოიჯარე ნუსრედინ კახაძე. სიხარულით ვაძლევ ხმას ჩვენს დეპუტატობის კანდიდატებს. ისინი ხომ სოფლის წარმომადგენლები არიან და, ბუნებრივია, იზრუნებენ მიწის მშრომელებისათვის. იჯარას გამოვყავართ ძნელი მდგომარეობიდან. ჩვენ დღეში უკვე ვწველით 700 კილოგრამამდე რძეს, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე გაციცხრით მეტია. ვაპირებთ ზეგეგმითი რძე მივყიდოთ მოსახლეობას.

ცხინვალი. გასული წლის დამლევს ცხინვალელ მშენებელთა მიერ საექსპლუატაციოდ გადაცემული ბინების მესამეს წარმოადგენს ნადია დოგუზოვას თერთმეტკაციანი ოჯახის ოთხი ოთახი. საარჩევნო ოლქში, რომელიც მეხუთე სამფალო სკოლის შენობაში განლაგებულა, ისინი თითქმის ყველანი ერთად მოვიდნენ.

ჩვენ არ ვიცით, ვის მისცეს ხმა მშობლებმა — აქ № 736 ცხინვალის საქალაქო ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქში კენჭს იყრიან № 2 საშუალო სკოლის დირექტორი ტორეზ კულუმბეგოვი და პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ანატოლი ჩეხოევი, № 191 ცხინვალის ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ნაფი ჯუსოითი, № 661 გორის ტერიტორიულ ოლქში კი კასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ნადეჟდა ბუთხუზი და გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის კოლმეურნე ზოია პავლიაშვილი. მაგრამ ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ უბანში შესასვლელთან ისინი ჯერ კიდევ რაღაცაზე ეთათბირებოდნენ ერთმანეთს. ეს გასაგებია: დღევანდელ არჩევნებზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული საოლქო ცენტრის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, რომლის ტემპი უკვე ცხადი გახდა.

სწრაფად უახლოვდება ქალაქს ედისი-ჯავა-ცხინვალის წყალსატარი, რომლის წყაროს წყალი ბლიანაგდ ააკმაყოფილებს ცხინვალელთა სოფლიდან ბოთხოვნილებებს. მომავალშიც ხომ დაგეგმილია საცხოვრებელი სახლების შშენებლობის მნიშვნელოვანი გაფართოება. ამისათვის შემუშავებულია და უკვე ხორციელდება მიწიქვეშა კომუნიკაციების და უწინარეს ყოვლისა სრულიად უვარგისი წყალსადენი ქსელის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის კომპლექსური გეგმა. ამის შემდეგ მოასფალტდება ქუჩები, განახლდება [illegible], გაკეთდება ბევრი სხვა რამ, რაც ქალაქს სჭირდება თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნისათვის.

— პოზიტიური ცვლილებები სხვებზე უკეთ დავინახეთ ჩვენ, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა, ჩვენ ხომ მოვაბერეთი შეეხვედროდით ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრეს, — ამბობს მისი თავმჯდომარე ზაირა პლეევა, ადგილობრივი ხე-ტყის კომბინატის ტექნოლოგი. წინა წლებისაგან განსხვავებით ადამიანები უდიდეს ინტერესს იჩენენ კანდიდატის პიროვნებისადმი, არჩევნების წესებისადმი. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარმომადგენლობისათვის ხალხი ყველაზე ღირსეულთ აირჩევს.

ჯუთაისი. გუშინ დილაადრიან ჩვეულებრივზე მეტად ახმაურდა ქალაქის ქუჩები, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ყველა საარჩევნო უბანში ფართოდ გაიღო კარი ამომრჩევლებს.

დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატებს ქუთაისელები ხმას აძლევდნენ № 665 ტერიტორიულ და № 178 ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში. პირველში ერთ მანდატზე კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი — ქუთაისის ადგილმრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მკერავი შორენა ყანჩაველი და ქარხანა ავანგარდის მუშა მაია კაკიტაძე, მეორეში — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გივი აბზიანიძე. მათ საარჩევნო პროგრამებს ყველა ამომრჩეველი გაეცნო პრესის საშუალებით, წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებისას. ამდენად, მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სწორი არჩევანი გაეკეთებინათ ხმის მიცემის დროს.

ვესაუბრებით საარჩევნო ყუთებთან პირველად მიმსვლელებს. — ვინ მოთვლის, რამდენ არჩევნებს მოვესწარ, მაგრამ მერწმუნეთ გულწრფელად, ასეთი დიდი სიმოვნება არასოდეს განმიცდია, — ამბობს პარტიისა და შრომის ვეტერანი ვალერიან ლალიაშვილი. — თითოეული ჩვენგანის თვალწინ მიმდინარეობდა საარჩევნო სამზადისი, რამდენმა პიროვნებამ მოხსნა თავისი კანდიდატურა დეპუტატობის კანდიდატობაზე, რამდენი დამატებითი წამოაყენა ხალხმა. ახლა ერთ მანდატზე ბევრგან რამდენიმე კანდიდატი იყრის კენჭს, ჩვენგანაც ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ალტერნატული დეპუტატობის კანდიდატები არიან. ეს უკვე მრავლისმეტყველი ფაქტია.

— ხმა ვის მივეცი? დამიტოვეთ საიდუმლოდ, — ეუბნება 90 წელს მიახლოებულ ამომრჩეველს და გვემშვიდობება.

კარგად იმუშავეს საოლქო საარჩევნო კომისიებმა, რომ არჩევნები ორგანიზებულად, მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებულიყო.

არჩევნებმა დაადასტურა ჩვენი ხალხის მოქალაქეობრივი პოზიციისა და პოლიტიკური კულტურის ამაღლებული დონე.

რუსთავი. პირდაპირ შრომითი ცვლის შემდეგ მოვიდნენ საარჩევნო უბნებში მეფოლადეები და მგლინავები, მეტალურგიული ქარხნის სხვა საამქროების მშრომელები, სადაც რუსთავის № 182 ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქში სახალხო დეპუტატად კენჭს იყრის მათი ამხანაგი, მეფოლადე თამაზ სპანდერაშვილი.

დამახასიათებელი დეტალი: დილიდან საარჩევნო უბნებში უფრო მეტნი იყვნენ მამაკაცები, ხოლო შუადღისათვის იმატა ქალების ნაკადმა.

— დილიდანვე საოჯახო საქმეებს ვართ მიჯაჭვული, — თქვა ერთ-ერთმა ამომრჩეველმა, — სასმელ წყალს ქალაქში გრაფიკით გვაწვდიან, დილით და საღამოს. მე ხმა მივეცი ჩვენი განაწესების შესრულებას, რომ უპირველესი ყურადღება მიაქციონ სოციალური სფეროს განვითარებას, მეტი იზრუნონ ადამიანთა ყოველდღიური საჭიროებებისათვის.

ასეთი განაწესები მიიღეს თ. სპანდერაშვილმა და სახალხო დეპუტატობის კანდიდატმა რუსთავის № 667 ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიგანმა ბ. ვ. ნიკოლაძე. ამომრჩევლები მათგან მოელიან ქალაქის ყველაზე მწვავე პრობლემების გადაჭრას: ეკოლოგიური ვითარების, სანიტარიული პირობების გაუმჯობესებას, მშრომელთა კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და დასვენების ბაზის განვითარებას. ეს რუსთაველ ამომრჩეველთა განაწესების მხოლოდ ნაწილია. ჭაღარა კაცმა, რომელსაც მკერდს უმშვენებს მხედრული საქმეებისა და შრომისათვის მიღებული ჯილდოები, ასე ბრძანა:

— გარდაქმნა, დემოკრატია, საჯაროობა — ამაზე არჩევნების წინ ბევრი ვილაპარაკეთ ამხანაგებთან ერთად. ერთი რამ ცხადია, — ჩვენს კანდიდატებს, როცა ისინი სახალხო დეპუტატები გახდებიან, ბევრად უფრო მეტს მოჰკითხავენ, ვიდრე წინათ. მაგრამ გვესმის სხვა რამეც: ჩვენ ყველანი უნდა დავეხმაროთ მათ, უწინარეს ყოვლისა კეთილსინდისიერი შრომით. მაშინ გარდაქმნა უფრო სწრაფად განხორციელდება და ცხოვრებაც უკეთესი იქნება.

სასწავლო-საწარმოო მეურნეობა

საიჯარო ბრიგადა—ყველა სკოლას!

საგარეჯოელთა მიმართვა რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობებისა და საშუალო სკოლებისადმი

გარდაქმნის, საჯაროობის პერიოდში სამეურნეო ანგარიშზე გადასასვლელად დიდი როლი ენიჭება სასკოლო რეფორმის გონივრულად განხორციელებას.

რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა ყოველმხრივ შეეხწავლეს მანავის ორივე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებული სასწავლო-საწარმოო მეურნეობა „მზიურის“ გამოცდილება. მზიურელები ოთხ წელიწადზე მეტია, ბეჯითად და ხალმის ცოდნით უყლიან მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიერ გადაცემულ ათეულობით ჰექტარ ვენახს, გონივრულად იყენებენ მანქანებს და უხვ მოსავალს იღებენ. რაც მთავარია, სწავლობენ ვაზის მოვლა-პატრონობას, ავტომანქანისა და ტრაქტორის მართვას, ეჩვევიან შრომას, აკვირდებიან დირექტორის, ეკონომისტის, ბრიგადირის, ბუღალტრის საქმიანობას, რომ მერე თავად შეესრულონ ამ საქმეთა გაძღოლა.

საშუალო სკოლადამთავრებულთა ერთი ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს სწავლას, ხოლო წელიწადში თხუთმეტი, ოცი, ოცდაათი ახალგაზრდა სოფელში რჩება და აგრძელებს მუშაობას მეურნეობაში.

მზიურელების გამოცდილებას საგარეჯოს სახალხო განათლების განყოფილების, კომკავშირის რაიკომის ინიციატივით, პარტიის საგარეჯოს რაიკომის, რაისახალხო აღმასკომისა და აგროსამრეწველო ტექნიკუმის ხელმძღვანელობა — ბატონ-ბატონ რამაზან ეფანტურია — საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე; თენგიზ კოგბიაშვილი — განათლების განყოფილების შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სასკოლო ინსტრუქტორი; ჯუსუმ მეზვრიშვილი — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; ალექსანდრე ტულუში — მანავის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი; მაია სალაყაშვილი — მანავის სასოლათშორისო მეურნეობა „მზიურის“ დირექტორი (მეათეკლასელი); ოვსეფ მიქელაშვილი — პატარძეულის საშუალო სკოლის დირექტორი; ზაურ ბიქორაშვილი — ბადიაურის საშუალო სკოლის საწარმოო შრომის ხელმძღვანელი; დავითი ჯანიაშვილი — ყანდაურის საშუალო სკოლის სასწავლო-საწარმოო არენდული ბრიგადის წევრი; დალი სირაძე — ბადიაურის საშუალო სკოლის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

ველი ბიბილეიშვილი — ბადიაურის საშუალო სკოლის დირექტორი — ბატონ-ბატონ რამაზან ეფანტურია — ყველა საშუალო სკოლის და ბრიგადების — ბატონ-ბატონ ბიბილეიშვილი — ბადიაურის საშუალო სკოლის ბელმძღვანელი.

წელს რაიონის სკოლების სასწავლო-საწარმოო მეურნეობებსა და ბრიგადებში გაერთიანებულ მოსწავლეები მოუვლიან 90 ჰექტარ ვენახს, 16 ჰექტარ ხეხილის ბაღს, 20 ჰექტარ მარცვლეულ კულტურათა ნათესებს. საერთო შემოსავალი 55 ათას მანეთს გადაამეტებს. გამომუშავებული ხელფასი და მოგება სკოლას დარჩება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ყველა სოფლისა და საშუალო სკოლის უფროსკლასელებს მოვუწოდებთ მოგვმართონ ჩვენ და ყველა სკოლაში შექმნან სასწავლო-საწარმოო მეურნეობიდან საიჯარო ბრიგადა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში, თავიანთ წვლილი შეიტანონ სკკპ XXVII ყრილობის, XIX საკავშირო პარტკონფერენციისა და ალკაკ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

იმედი გვაქვს რესპუბლიკის საშუალო სკოლების პედკოლექტივები, უფროსკლასელები ამ თაობაზე ნაბრძანებს გავრცელებასა და დამკვიდრებაში მხარს დაგვიჭერენ, მოგვბაძავენ.

მხარი დავუჭიროთ საგარეჯოელებს

მართლაც რომ, მხარდასაჭერია საგარეჯოელთა თაოსნობა, რომელიც მანავის ორივე საშუალო სკოლის სასწავლო-საწარმოო მეურნეობა „მზიურის“ ოთხწლიან გამოცდილებას ეყრდნობა: თავიდან სასოლის სასწავლო მეურნეობა „მზიურს“ მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 47 ჰექტარი ვენახი მიუნიჭა; აქედან 27 ჰექტარი სრულმოსავლიანი იყო. მზიურელებს მეურნეობამ საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, აგვიანებანა გამოუყო და შეფოთ იკისრა. მას შემდეგ მოსწავლეები სასწავლო მეურნეობაში დირექტორის, კეკონომისტის, ბუღალტრის, ბრიგადირის საქმიანობას სწავლობენ. ისინი სკოლიდანვე ეჩვევიან არამარტო ფიზიკურ შრომას, არამედ ითვისებენ ხელმძღვანელის უნარ-ჩვევებსაც. 136 მოსწავლე მუშაობს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერმუშაკთა მეთვალყურეობით. მოსწავლეები მათი დახმარებით სხვადასხვა ახალი ჯიშის ვაზის მოვლა-პატრონობას, მოწინავე ტექნოლოგიას დაეუფლნენ და შარშანწინ ყურძნის უხვი მოსავალიც მოიწიეს, სახელმწიფოს 128 ტონა მიჰყიდეს, საერთო მოგებამ 3.720 მანეთს მიაღწია. შარშანაც არანაკლები მოსავალი მიიღეს და რაც მთავარია უფრო დაიზვეწა მოსწავლეთა დამოკიდებულება მიწისადმი, შრომისადმი, მათთვის უფრო ახლობელი გახდა შრომელი კაცი. შარშანწინ 30 საშუალო სკოლადამთავრებული მშობლიურ სოფელ მანავში დარჩა და ახალგაზრდულ-კომკავშირული იჯარული ბრიგადა შექმნა. ასევე იყო შარშანაც.

მზიურელთა გამოცდილება რაიონის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოების ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია. მათი ერთობლივი მოსაზრებით გადაწყდა მზიურელთა გამოცდილება მთელ რაიონში გავრცელდეს.

— მანაველ მოსწავლეთა და მეურნეობის ახალგაზრდების ურთიერთდამოკიდებულებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო, — ამბობს სახალხო განათლების განყოფილების გამგე ნუგზარ ჭანტურია, — თუ ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერმუშაკები ახალი ტექნოლოგიის დანერგვაში ეხმარებიან მოსწავლეებს, მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები ენერგიასა და ცოდნას არ ზოგავენ, რათა მოსწავლეებმა შეისწავლონ ავტომანქანის, ტრაქტორის და სხვა ტექნიკის მართვა, დაეუფლონ ხელმძღვანელის თვისებებს.

მანავეთია მაგალითთა სოფელ ბადიაურის საშუალო სკოლამიე შეიქმნა ექსპერიმენტული სასწავლო-საწარმოო მეურნეობა, რომელმაც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას უნდა მოუმზადოს ტრაქტორისტები, მძღოლები, მევენახეები. საამისოდ სკოლას გადაეცა „ტ-40“ მარკის ტრაქტორი, ორი სატვირთო ავტომანქანა, სათესი, სასუქებია შესატანი და შხამ-ქიმიკატების შესასხურებელი აგრეგატები, ორი ბეთანი, საწვავით მანქანების გასამართი მოწყობილობა და სხვა. იჯარული წესით სკოლას კამეოყო 13 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი, 5 ჰექტარი მინდორი მარცვლეული კულტურების მოსაყვანად. რაიონულ ბანკში იჯარული ურთიერთობისათვის სკოლას სპეციალური ანგარიში აქვს. წელიწადში დაახლოებით 35.000 მანეთის მოგებას ვარაუდობენ.

იჯარული ურთიერთობის საფუძველზე ყანდაურის საშუალო სკოლაში შეიქმნა მოსწავლეთა ბრიგადა, რომელიც 5 ჰექტარ ვენახს უვლის. ასეთივე ბრიგადა ჩამოყალიბდა პატარა ჩაილიერის საშუალო სკოლაში. მოსწავლეებმა ჩაიბარეს კოლმეურნეობის 12 ჰექტარი ბაღი და 5 ჰექტარი ვენახი; ხაშმის საშუალო სკოლის უფროსკლასელებს 4 ჰექტარი ვენახი მიუჩინეს მოსავლელად, გიორგიწმინდის საშუალო სკოლისას — 4 ჰექტარი ვენახი. ერთი სიტყვით, რაიონში ყველა საშუალო და არასრულ საშუალო სკოლაში შეიქმნა სასწავლო მეურნეობა ან საიჯარო ბრიგადა.

— მოგვიწყვეს ავტოდრომი, გამოგვიყვეს „გაზ-53“ მარკის სტვირთო ავტომანქანა. ჩვენი უფროსკლასელები ავტომანქანის მართვას სწავლობენ, — თქვა პატარძეულის საშუალო სკოლის დირექტორმა ომარ მიქელაშვილმა, — გარდა ამისა, მოსწავლეთა განკარგულებაშია 5 ჰექტარი ვენახი, 3 ჰექტარი სახნავი, მარცვლეული კულტურების მოსაყვანად, ვიწყობთ სათბურს, სადაც ბოსტნეულს მოვიყვანთ.

ქალაქ საგარეჯოს მეოთხე საშუალო სკოლაში კი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო სამკერვალო საამქრო ეახლნა. მაღალ რაიონის ცენტრში მოეწყობა სასწავლო-საწარმოო კოპერატივი თავისი მაღაზიით. აქვე იმართება მოსწავლეთა გამომუშავებული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

სულ რაიონში მოსწავლეთა განკარგულებაში იქნება 90 ჰექტარი ვენახი, 16 ჰექტარი ხილის ბაღი, 20 ჰექტარი სახნავი და სხვა. მოსწავლეთა შემოსავალი წელიწადს 55 ათასი მანეთზე მეტი იქნება.

მთავარი კი ის არის, რომ სოფლის მეურნეობის საიჯარო მეურნეობებსა თუ ბრიგადებში, სამრეწველო საამქროებსა თუ ავტოდრომებზე ახალგაზრდები სასკოლო ასაკიდანვე შეეჩვევიან შრომას, შეშლბლიური მიწის ბატონ-პატრონად იგრძნობენ თავს და ეს ხომ, თავისთავად, სასკოლო რეფორმის, გარდაქმნის მნიშვნელობა იქნება.

ვახტანგ გოზალიშვილი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიაში

გავაუმჯობესოთ ახალშენებლობათა მოძარაგება

ალდგენითი სამუშაოების ფრონტების განვითარებასთან დაკავშირებით მიწისძვრის ზონაში შექმნილი ვითარება გვიკარნახებს, მკვეთრად გავზარდოთ ადგილობრივი საშენი მასალების გამოშვება. სომხეთის ბუნებრივი რესურსები საშუალებას იძლევა დაზარალებულ რაიონებში მთლიანად უზრუნველვყოთ მშენებლობები ქვით, ღორღითა და ქვიშით, მაგრამ ინდუსტრიის არასაკმარისი ბაზა აფერხებს მათ მოპოვებასა და წარმოებას. საშენ მასალათა მრეწველობისათვის დამატებით სიძლავრეთა განვითარების უპირველესი ღონისძიებების შესრულების საკითხი განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელიც 25 მარტს გაიმართა ერევანში. სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. სილაევი.

აღინიშნა, რომ თავდაპირველად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად უკვე მიღწეულ ღორღის, ბუნებრივი ქვის, ფოროვანი შემვსებების წარმოების ზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებით წარმატებით მოქმედებდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და უკრაინის სსრ მშენებლობის სამინისტრო, რომლებმაც შეძლეს მნიშვნელოვნად გაეზარდათ ჰემზამშენისა და სარალის არამდნეული კარიერების სიმძლავრეები. ჩრდილოდასავლეთის რაიონებში მშენებლობის სამინისტროსა და სამხრეთის რაიონებში მშენებლობის სამინისტროს ინიციატივით, მთი ძალებით წარმოებს ლენინაკანისა და კიროვაკანის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნების აღდგენა.

ამავე დროს, მოისმინეს რა მთელი რიგი დარგებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაცია, კომისიამ აღნიშნა, რომ ჩამორჩა სომხეთის სსრ სახმშენი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ახალი ობიექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაცემასა და მიწის ნაკვეთების გამოყოფას. მან ვერ აღმოფხვრა სეროიზული ნაკლოვანებანიც შრომის ორგანიზაციაში, აგრეთვე საწარმოებში, კარიერებში მუშათა კოლექტივებისათვის საჭირო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა მშენებლებს დააკლეს ღორღის წარმოებისათვის განკუთვნილი 10 მოძრავი დანადგარი, ბულდოზერი და ექსკავატორი.

გითვალისწინა რა ყველა გარემოება, კომისიამ მოიწონა გადაწყვეტილება შეიქმნას სომხეთში საშენი მასალების წარმოების რესპუბლიკური გაერთიანება, რომელსაც ევალება ახალშენებლობათა მომარაგების გაუმჯობესებისათვის მთელი მუშაობის კოორდინაცია. აგდილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ უფრო თანამიმდევრულად გააშუქონ მშენინდუსტიის პრობლემები.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა ამ დარგის მუშაობის აპრილის შედეგები მოახსენოს კომისიის ერთ-ერთ სხდომას.

მოისმინეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინფორმაცია სომხეთის ატომური სადგურის დახურვასთან დაკავშირებით ენერგოდაზოგვის ღონისძიებათა შესახებ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. გ. არუთინიანი.

(საკდესი).

რასაც დაზოგავ, შენ დაგრჩება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა საწვავ-საპოხი მასალების უტალონოდ რეალიზაციის ახალი წესი

სახელმწიფო ავტოტრანსპორტის მძღოლებს აღარ ექნებათ ბენზინისა და სხვა საწვავ-საპოხი მასალების ჩვეულებრივი ტალონები. მიმდინარე წლის 1 აპრილიდან ისინი გადაიხდიან ფულს, რომელსაც ამისათვის სამუშაო ადგილას მიიღებენ.

ექსპერიმენტის არსსა და ხიახლის მიზანზე გვესაუბრება საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე:

— საქართველოში არსებული დაძაბული სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი გვაიძულებს ვეძებოთ მათი დაზოგვის ახალი, არატრადიციული გზები. ვინ არ იცის, რომ ტალონების ბრუნვის პროცესში ჩამოყალიბდა მყარი უარყოფითი ტენდენციები, რაც გამოიხატა სახელმწიფო სექტორიდან პირად სექტორში მათი გადასვლით. ტალონებზე ყოველწლიურად ასი ათას ტონაზე მეტი ბენზინი იყიდება, თანაც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეული აღმოჩნდა „ფარული“ ეკონომიკის ბრუნვაში. უშრომელი გზით დიდი ფულის შოვნის შესაძლებლობა არაკეთილსინდისიერ მძღოლებსა და ავტოგასაწყობი სადგურების მუშაკებს უბიძგებდა დანაშაულებრივი პირის შეკვრისაკენ.

დეტალურად არ წარმოგიდგენთ ამ დარღვევების მთელ „სამზარეულოს“. მაგალითისათვის ვიტყვი მხოლოდ, რომ შარშან გამოავლინეს და ჩამოართვეს 103 ათასი ლიტრი ბენზინის ტალონები, რომელიც ჯიბის გასქელების წყარო უნდა გამხდარიყო.

ასეთი მოვლენებისათვის ბოლოს მოღება შეიძლება მხოლოდ იმით, თუ მძღოლს დავაინტერესებთ პატიოსანი მუშაობით. სწორედ ამით ვხელმძღვანელობდით, როცა შევიმუშავეთ სათბობის რეალიზაციის ახალი სისტემა.

თუ მძღოლი ტრანსპორტის ეფექტიანი გამოყენების წყალობით დაზოგავს საწვავს, დაზოგავს ღირებულება მასვე დარჩება. მაგრამ გადახარჯვისათვისაც ზუსტად ამოვნსავეს - გადაიხდის საკუთარი ჯიბიდან. მგონია, სამეურნეო ანგარიშის, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების პირობებში ეს შრომის ანაზღაურების ყველაზე სამართლიანი პრინციპია.

— დაზოგვის რა საშუალებები აქვს მძღოლს?

— ძალზე ბევრი — მოწესრიგებული საავტომობილო მეურნეობით დაწყებული და თითოეულ შუქნიშანთან ძრავის გამორთვით დამთავრებული. გამოც დ ი ლ მძღოლს, რომელმაც კარგად იცის თავისი მანქანის თავისებურებანი, აქ პრობლემები არ ექნება.

წლის დამლევამდე მძღოლები თავიანთი ორგანიზაციებისაგან საწვავის შესაძენად მიიღებენ 36 მილიონ მანეთზე მეტს. ამ თანხის გარკვეულ ნაწილს ისინი პატიოსნად გამომუშავებენ, თუ ყაირათიანობას ისწავლიან.

სიახლეს განმარტავენ: სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. შ. სვანძე:

— ექსპერიმენტი უთუოდ დადებით ეფექტს მოგვცემს რესპუბლიკის მიერ საკასო გეგმის შესრულების საქმეში. ნაღდ ანგარიშზე მძღოლთა მიერ სათბობის შეძენა ნიშნავს ბანკის სალაროებში ფულის არსებითს მოდენას. ეს კი საშუალებას მოგვცემს უკეთ მოვაგვაროთ რესპუბლიკის მშრომელებისათვის ხელფასის დროული გაცემა, ვაწარმოოთ სხვა ანგარიშსწორება. გარდა ამისა, ბანკში დამატებითი ფულადი თანხის არსებობა ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფ

მაღალი პოლიტიკური კულტურისათვის

საჯაროობისა და დემოკრატიზმის დღევანდელს ვითარებაში, როცა ხალხს მინიჭებული აქვს საქვეყნო საქმეების განსჯის პრიორიტეტი, განსაკუთრებით იზრდება მნიშვნელობა პოლიტიკური კულტურისა, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პრობლემებისადმი ახლებურ მიდგომაში წარმატებათა სანინდარია. პოლიტიკური კულტურა, საერთოდ, უმნიშვნელოვანესი ფენომენია საზოგადოებრივი ცხოვრებისა. იგი უნარია იმისა, რომ მოინახოს ოპტიმალური ვარიანტი თანამედროვეობისა და მომავლის სასიცოცხლო საკითხების გადასაწყვეტად. სწორედ პოლიტიკურ კულტურაში ვლინდება თვითშეგნება ყოველი ერისა, მისი აზრობრივი სიმწიფე და მზადყოფნა თანამედროვე ურთულეს ეპოქაში ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად.

განახლების ცხოველმყოფელმა ნაკადმა, ოთხმოცდაცამეტი წლების მეორე ნახევრიდან რომ მძლავრად შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის დახშულ ატმოსფეროში, დაარღვია საყოველთაო მთვლემარე განწყობილება და აამოძრაცა ყველა, ვისაც გული შესტკივა სამშობლოს ბედ-იღბალზე. მოვლენებს არც ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩა, აქაც გარინდების ვითარებაში მიყუჩებულმა სატკივარმა ერთბაშად იჩინა თავი და საზოგადოებრივი აზროვნებაც, ადრე რომ სტერეოტიპული არტახებით იყო შებოჭილი, სახვალინო სასიცოცხლო პრობლემებს შემოეჯარა. ამ პრობლემათა შორის ისევ წამოდგა წინა პლანზე თავის დროზე ბრძენი ილიას მიერ დასმული ეპოქალური კითხვა „ვინა ვართ და რანი ვართ". ამასთან, ამ კითხვას დაემატა აუცილებლობა იმის გარკვევისაც, თუ რანი ვიყავით და რანი ვიქნებით, რადგან მკაცრმა აქსიომატიზმმა და დოგმატურმა სტერეოტიპებმა, რაც ათეული წლების განმავლობაში ახშობდა ადამიანის ინიციატივას და კრიტიკულ აზროვნებას აუფასურებდა, წარსულზეც დამახინჯებული წარმოდგენა შეგვიქმნა და იმის უფლებაც ნაგვართვა, რომ გაბედულად განგვესაჯა მომავალი.

ჭეშმარიტებით შიმშილის ამ საერთო ვითარებაში სავსებით ბუნებრივი ჩანს საყოველთაო აღგზნება და საჯარო მსჯელობა ქვეყნის მომავალ ბედ-იღბალზე. ისიც ბუნებრივია, რომ ამ პროცესში წამყვანი პოზიცია უკავია სწორედ ახალგაზრდობას. ახალგაზრდობის პრიორიტეტი ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში ერთნაირია.

დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს თუ მასშტაბურად გავიაზრებთ, თვალნათლივ წარმოსდგება საპირისპირო პოზიციების დიდი ამპლიტუდა, მარჯვნივ და მარცხნივ გადახრების მაქსიმალიზმი. მართლაც, საზოგადოებრივი აზრი ტორტმანებს, ხშირად ერთი უკიდურესობიდან მეორეს ანყდება ისევე, როგორც, ვთქვათ, რამე მოძრავი საგანი ხომალდში ზღვის ძლიერი ღელვის გამო. მარჯვნივ თუ მარცხნივ გადახრილ ზემოთნახსენებ მაქსიმალიზმს ერთი საერთო ძირი აქვს მაინც. იგი ნახევრად სიმართლეზე, ახლებური აზროვნების ჩაღრმავებული გაგების უკმარობაზეა აღმოცენებული და ერნაირად უქმნის დაბრკოლებას დემოკრატიზმისა და საჯაროობის კურსის საბოლოო წარმატებას. სწორედ გადახრის ამგვარი მაქსიმალიზმი, ზომიერების გრძნობის უქონლობა და წონასწორობის შენარჩუნების უუნარობა შედეგია დაბალი პოლიტიკური კულტურისა. მაღალი პოლიტიკური კულტურა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იგუებს მოჭარბებულ ემოციურობას, უნაყოფო ოცნებასა და ილუზორობას. იგი მხოლოდ და მხოლოდ დინჯ, სერიოზულ, ათგზის განსჯილ და აწონილ მოსაზრებებს ემყარება. მისი საფუძველთა საფუძველი მკაცრი რეალიზმია, რადგან სწამს, რომ მისმა გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია ერის მომავალს საბედისწერო ზიანი მოუტანოს.

რადგან პოლიტიკურ კულტურას ვეხებით, უპრანაა ამ თვალსაზრისით ჩვენს ისტორიულ წარსულშიც ჩავიხედოთ.

ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიული წარსულის მქონე ქართველი ხალხი, რომელსაც ბედმა არგუნა აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროთა გზაჯვარედინზე, მასზე ძლიერი და აგრესიული ქვეყნების გარემოცვაში ეცხოვრა, დაღუპვისაგან მისმა მაღალმა პოლიტიკურმა კულტურამ გადაარჩინა. ეპოქის შესაბამისი კულტურა ნათლად იგრძნობა ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟიდან, იგი შესამჩნევია ფარნავაზ მეფის პოლიტიკურ მოღვაწეობაში, უფრო გვიან ვახტანგ გორგასალის, ბაგრატ მესამის დიდ საქვეყნო საქმეებში. ამასთან ისიც ჩანს, რომ პოლიტიკური კულტურა მარტო ქვეყნის მესვეურთა დამახასიათებელი არ ყოფილა, იგი ხალხშიც იყო ფესვგადგმული. გავიხსენოთ თუნდაც VI საუკუნეში ეგრისელთა მეფის გუბაზის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით ლაზ წარჩინებულთა კრება, სადაც სამშობლოს ბედის გადაწყვეტად გაჩაღებული პაექრობა გაიმართა. აეტისა და ფარტაძის საპირისპირო სიტყვები ნიმუშია პოლიტიკური აზროვნების იმ უმაღლესი დონისა, რომელიც ბერძნულ და ლათინურ ცივილიზაციებს ახასიათებდა. ამ კულტურას ჯერ კიდევ კოლხეთის აკადემია, ხოლო შემდეგ ქვეყნის შიგნით და გარეთ მოქმედი შემოქმედებითი კერები ნერგავდნენ. ეს პოლიტიკური კულტურა გასდევს დავით აღმაშენებლისა და თამარის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ მოიხსენიებს ქვეყნის მსახურეულთა „ნიჭმრავლობას". თამარის ეპოქაში გაჩნდა მეფის აბსოლუტური უფლების შემზღუდველი, საგანგებო უფლებით აღჭურვილი საკრებულოს შექმნისკენ მისწრაფებაც, რაშიაც ივ. ჯავახიშვილი გულისხმობდა ისეთ კანონმდებელ სახელმწიფო ორგანოს, რაც უფრო გვიან პარლამენტის სახით გაჩნდა ევროპულ ქვეყნებში.

საქართველოს სახელმწიფო მესვეურთა გამჭრიახი დიპლომატია და მართებულად გააზრებული ორიენტაცია იყო ყველაზე მთავარი ფაქტორი ქვეყნის გადასარჩენად მონღოლების, ოსმალო-თურქების, ყიზილბაშთა გამუდმებული თავდასხმების ეპოქაში, როცა ამოძირკვისა და გადაშენების რეალური საფრთხე მთელი ექვსი საუკუნე შავ ღრუბლად აწვა ჩვენს ქვეყანას.

პოლიტიკური კულტურა არ ჩამკვდარა ცარიზმის მიერ ქართველი ხალხის კოლონიური ჩაგვრის პირობებშიც. მისი აღორძინების შინაარსი იყო ჩადებული ილია ჭავჭავაძის მისწრაფებაში გაერკვია „ვინა ვართ და რანი ვართ" და ლოზუნგში „ჩვენი თავი ჩვენადვე „გვეყოფდნეს"! ილიამ აღძრა ქართველ მწერალთა და მოაზროვნეთა საერთო ინტერესი „მამულის" მიმართ და სამშობლოს ბედ-იღბალზე ზრუნვამ „კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას". გავიხსენოთ საადგილმამულო ბანკის დანიშნულებაზე 70-80-იან წლებში გაჩაღებული კამათი ქართულ პრესაში, ილიასა და ივანე მაჩაბლის საპირისპირო პოზიციები და საზოგადოებრიობის მკვეთრი რეაგირება ამ მაღალ პაექრობაზე.

ქართული პოლიტიკური კულტურის მაღალმა ტრადიციებმა და აქტივობამ ყველაზე ნათლად მაინც თავი იჩინა 1918 წლიდან, როცა ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დიდი ხნის საოცნებო ეროვნული სუვერენიტეტი. 1919-1920 წლებში ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრება წყვეტდა. საკრებულოში წარმოდგენილ სხვადასხვა პარტიებს (მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები) წამოჭრილ პრობლემებზე ერთმანეთისაგან განსხვავებული, ზოგჯერ დიამეტრალურად საპირისპირო შეხედულებები ჰქონდათ და პრინციპულად იცავდნენ მას, მაგრამ ამასთან ჰქონდათ საწინააღმდეგო თვალსაზრისის მოსმენის კულტურაც და იმის უნარიც, რომ გამოენახათ ოპტიმალური ვარიანტი მათი გადაწყვეტისა, რა თქმა უნდა, ურთიერთპატივისცემის ვითარებაში.

ეს ტრადიცია გრძელდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, ვიდრე სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვას და ახალი ქვეყნის მშენებლობას სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი. რევოლუციის ბელადისათვის როდი იყო უცნობი საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მაღალი სულიერი პოტენციალი, იგი ანგარიშს უწევდა მას ყოველმხრივ და ქართველ ბოლშევიკებს საგანგებოდ აფრთხილებდა მეტი დამთმობლობით, მეტი სიფრთხილითა და ანგარიშგაწევით ემუშავათ ინტელიგენციასთან, მაგრამ საბჭოთა საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობას არ აღმოაჩნდა დემოკრატიულ ინტელიგენციასთან მოქმედების ურთიერთობის უნარი. ადმინისტრირების უხეში პოლიტიკით ეს ინტელიგენცია მან ქვეყნის მტრად მონათლა და აირჩია მისი გზიდან ჩამოცილების პოლიტიკა. ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილი ფიზიკურად მოისპო ჯერ 1924 წლის აჯანყებისადმი ანგარიშსწორების შედეგად, ხოლო უფრო მასობრივად განადგურდა 30-იან წლებში.

ავტორიტარიზმის პერიოდი მთელს საბჭოურ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის მკვეთრი დაქვეითებით ხასიათდებოდა. ამ დროიდან დამკვიდრდა ჩვენში აზრის დიქტატურა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიულ წარსულზე, თანადროულობაზე თუ სამომავლო პერსპექტივებზე ქვეყნის მესვეურთა ვიწრო წრეში ყალიბდებოდა დებულებები, რომლებიც „სოციალიზმის ინტერესების" აბრით, პარტიული ბიუროკრატიის ძალისხმევით გარდაქმნილი ურყევ დოგმებად, მზამზარეულად ეძლეოდა საზოგადოებრიობას სახელმძღვანელოდ. საზოგადოებრივი აზრის დანიშნულება კი ამოიწურებოდა ამ გაძვალებული სქემების, სტერეოტიპების პროპაგანდით. ამ პროკრუსტეს სარეცელზე უნდა განსწორებულიყო საბჭოთა „ერთიან ოჯახში" შემავალი ყველა რესპუბლიკის ისტორიული წარსულის ცოდნა თუ სამომავლო პროგრამა. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი აზრი ამ მძიმე დუმილის ეპოქაშიც მთლიანად არ ჩამკვდარა და აქა-იქ, ეპიზოდურად, მკაცრი ანგარიშსწორების მიუხედავად, თავს იჩენდა ჯანსაღი პოზიცია საზოგადოებრივ პრობლემებზე. მაგრამ ერთეულები მაინც ვერ ქმნიდნენ ამინდს. პოლიტიკური კულტურისათვის საჭირო ინტელექტს ზრდის გზა დახშული ჰქონდა, რადგან ჩაკლული იყო მისი არსებობის ისეთი აუცილებელი კომპონენტები, როგორიცაა ობიექტურობა და ზომიერება, განსხვავებული აზრისადმი ანგარიშგაწევა და პატივისცემა კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებისადმი. იმ დროს ოფიციალურ აზრს ახასიათებდა გადახრის მაქსიმალიზმი — დიქტატურისკენ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წ. აპრილის პლენუმის და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ დემოკრატიისა და საჯაროობისაკენ შემობრუნებამ საზოგადოებრივ გონს ახსნა ბორკილები და პოლიტიკურ კულტურას გაუხსნა ასპარეზი. პოლიტიკური აზროვნების ისარი გადაიხარა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, მარცხნივ თუ მარჯვნივ გადახრის ეს მაქსიმალიზმი თვალნათლივი მოწმობაა პოლიტიური კულტურის დაბალი დონისა, მისთვის დამახასიათებელი ინტელექტის მოუმწიფებლობისა. ახლა ჩანს მთელი სიგრძე-სიგანით ის მძიმე ზნეობრივი დანაკარგი, რაც ჩვენს საზოგადოებრიობას განუცდია გასული ათეული წლების განმავლობაში.

გადახრის მაქსიმალიზმი საერთოდ ძევს ქართველი კაცის ისტორიულ ხასიათში (რაც შესანიშნავად დაასაბუთა ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა). ეს შეიძლება მიჩნეული იქნეს პიროვნების ღირსებადაც კი. მაგრამ ერთია პიროვნული ხასიათი, მეორე — პოლიტიკური კულტურის დანიშნულება. პოლიტიკური კულტურა ვერ იგუებს ასეთ უკიდურესობებს, მარჯვნივ თუ მარცხნივ ზომაგადასულმა გადახრებმა შეიძლება უდიდესი ზიანი მოუტანოს ჩვენს საზოგადოებრიობას, ძირი გამოუთხაროს იმ საჯაროობასა და დემოკრატიზმს, რომელიც როგორც იქნა მოვიპოვეთ არა სისხლით, არამედ ქვეყნის ხელმძღვანელი ძალის— კომუნისტური პარტიის მეთაურობით, მისი ახლებური აზროვნებით.

პოლიტიკური კულტურის მთავარ ნიშან-თვისებად, ჩემის აზრით, მაინც რეალიზმი, ზომიერება და სიტყვის პასუხისმგებლობა უნდა ჩაითვალოს.

ემოციებს და მხოლოდ გულისთქმას აყოლილი მოძრაობა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ფუჭია და განწირული მარცხისათვის. ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწენი ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ რეალურ ვითარებას, რეალურ შესაძლებლობებს და აქედან გამომდინარე სახავდნენ გეგმებს თავიანთ სამომავლო მოქმედებაში. ამის უამრავი მაგალითია ჩვენს ისტორიაში და სწორედ ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთა რეალურმა აზროვნებამ გადაგვარჩინა. შორეული წარსულიდან რომ არ ვეძიოთ ამის ფაქტები, მოვიშველიებ ახლო წარსულის ერთ ეპიზოდს 1924 წლის ტრაგედიიდან. ამ აჯანყების თვითმხილველი, საზოგადოებრივი კულტურული მოძრაობის აქტიური მოღვაწე გერონტი ქიქოძე მართებულად შენიშნავს, რომ „შეთქმულებმა მეტი რომანტიზმი გამოიჩინეს, ვიდრე საღი პოლიტიკური გონიერება" (იხ. მისი „თანამედროვის ჩანაწერები" მნათობი. № 1, 1989). ამ შეთქმულების დაწყებისას აჭარაში ჩეკამ დაატყვევა პარტეტული კომიტეტის წევრები მიხა სიმაშვილი, ვასო ჩიტაიშვილი, ყოფილი სახალხო გვარდიის უფროსი ა. რამიშვილი, პარიზიდან საგანგებოდ ჩამოსული ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი ვიქტორ ცენტერაძე, გენერლები ყარალაშვილი, ფურცელაძე და სხვები. ერთი სიტყვით, აჭარაში აჯანყება დაწყებისთანავე განწირული აღმოჩნდა. 5 სექტემბერს საგანგებო კომისიაში თავისი ფეხით მივიდა სააჯანყებო მზადების აქტიური მონაწილე გიზო ანჯაფარიძე, რომელმაც ითხოვა აჯანყების სხვა მესვეურებთან ერთად იგიც დაესაჯათ, ოღონდ მიეცათ უფლება გაზეთის ფურცლებზე გაეკეთებინა შემდეგი შინაარსის საჯარო განცხადება:

„უკანასკნელ დღეებში საქართველოში მომხდარი ტრაგედია წარმოადგენს ჩემის აზრით ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ, ვისაც სარგებლობის მოტანა შეუძლია ქართველი ხალხისათვის.

3 წლის წინათ დაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. დღეს კი დამარცხდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, როგორც ეს ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი. ძნელია და საშინლად მტკივნეული შერიგება ამ აზრთან ჩემთვის, ქართველი საზოგადო მოღვაწისათვის, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდი იმათ რიცხვში, რომლებიც იდგნენ იმ ბარიკადის მეორე მხარეზე, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

...ავანტიურის გზა მიგვიყვანს სრულ განადგურებამდე და თუ ხალხი განადგურდა, რაღა საჭიროა მაშინ დამოუკიდებელი ან დამოკიდებული საქართველო ქართველების გარეშე"? (გაზ. „კომუნისტი", 5 სექტ. 1924 წ.)

გიზო ანჯაფარიძეს თავისუფლად შეეძლო მაშინ აჭარის მხრიდან სახელმწიფოს საზღვარი გადაელახა და ემიგრაციაში წასულიყო. მან რაინდული გზა აირჩია, როცა დასასჯელად განწირული საბრძოლო მეგობრების ხვედრი გაიზიარა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის მის გადაწყვეტილებაში მაინც მკაცრი პოლიტიკური რეალიზმია. ეს მრავლისმეტყველი განცხადება გამოსჭვივის თანამემამულეთადმი მონოდებაში თავი შეიკავონ უაზრო სისხლის ღვრისაგან. პოლიტიკურ ვითარებას უწევდა ანგარიშს ბევრი ქართველი ემიგრანტი პარიზშიც, როცა 1924 წლის აგვისტოს გამოსვლას შეცდომად თვლიდა და თანამემამულეებს მოუწოდებდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ნაგებული ბრძოლა.

ეროვნული თავისუფლება ყველგან და ყველა დროს იყო და არის ადამიანის უმაღლესი იდეალი. ეს ყველამ ვიცით. მაგრამ გაა ისეა საქმე, როგორც ეს ზოგიერთ სულწასულ ჭაბუკს ან ქალიშვილს წარმოუდგენია? განა არის იმის საიმედო გარანტია, რომ დამოუკიდებელ საქართველოს შეეძლება მონაპოვრის შენარჩუნება ჩვენს რთულ გარემოცვაში? ვართ კი დღეს მზად იმისათვის, რომ დავიჩემოთ სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა და განვითარების დღევანდელ დონეზე საკუთარი ძალებით უზრუნველვყოთ მთელი ჩვენი ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედება?

მე კითხვას ვსვამ მხოლოდ. ნურავინ დამწამებს, თითქოს ობივატელური შიშით შეპყრობილი ვიყო. გულს მომხვდა სტრიქონები პოეტ მორის ფოცხიშვილის ახალი ლექსიდან: „ნუ გეშინიათ ცხელი აზრების, ცივი დუმილის გეშინოდეთ, ბებერო მგლებო"! დიახ, ცივი დუმილი საშინელებაა, იგი საკუთარ ზურგზე გამოვცადეთ. ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას სწორედ ცხელი აზრები ახალისებს და მას მივესალმებით, მაგრამ მაინც უადგილო როდია ეჭვი იმისა, რომ მეტისმეტად ცხელმა აზრებმა ისევ არ შემოაბრუნოს ეპოქა ცივი დუმილისა, დღეს თითოეულ მოთხოვნას ღრმა მეცნიერული დასაბუთება სჭირდება. ხომ ცნობილია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ნებისმიერი ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა მაშინ გამოდის ასპარეზზე და პოვებს მხარდაჭერას, თუ იგი წინასწარ შემოწმებულია საქმეში ღრმად ჩახედული ექსპერტებით, დასაბუთებულია ეკონომიკური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური მონაცემებით. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ყველა სამომავლო საკითხის ერთბაშად გადასაწყვეტად სჯობია ჯიქურ მისვლა, ვიდრე წინასწარ მოფიქრებული, ასჯერ გაზომილი, რეალურ ვითარებასთან შეფარდებული თანდათანობით წინსვლა აღქმული მიზნისაკენ. საჭიროა მეტი გრძნობა ზომიერებისა, — პოლიტიკური კულტურის ეს უცილობელი კომპონენტი!

განა ცოტა რამეს მივაღწიეთ უფროსი თაობისა და ჩვენი ახალგაზრდობის ერთიანი მოღვაწეობით ამ ორი-სამი წლის განმავლობაში? განა დიდი მონაპოვარი არაა ის, რომ მშობლიური ენა, — ბურჯი ჩვენი ეროვნულობისა, — დღეს ასეთ პატივშია და სახელმწიფოებრივი ზრუნვის რანგშია აყვანილი? განა ჩვენი სოციალური კულტურის ყველა დარგს დღეს მეტი გასაქანი არ მიეცა ახალ ღირებულებათა შესაქმნელად და გამოსაჩენად მსოფლიო ასპარეზზე? განა ჩვენი მშობლიური ისტორია, ჩვენი დიდებული ძეგლები განსაკუთრებული ზრუნვის საგნად არ გადაიქცა? საჯაროობისა და დემოკრატიზმის განმტკიცებისაკენ მიმდინარე პროცესი მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის გაფართოებისაკენ იკვლევს გზას. „მნიშვნელოვანნილად ფართოვდება რესპუბლიკური არჩევითი ორგანოების შესაძლებლობანი სუვერენულად გადაწყვიტონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხები კავშირის წინაშე რესპუბლიკების კონსტიტუციურ მოვალეობათა დაცვის პირობებში" (მ. ს. გორბაჩოვი), ეროვნული თვითგამორკვევის ლენინური პრინციპი ძალაშია, მაგრამ აქამდე ვერ მოხერხდა სათანადო მექანიზმების შექმნა იმის გასარკვევად თუ როგორ და რა ვითარებაში განხორციელდეს „იგი; ახლა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელ ორგანოებში, როგორც ეს კიევში გამოსვლისას აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, „ყველა რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების, მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით მომზადებულია რესპუბლიკების თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების ძირითადი პრინციპების კონცეფციები", რომ იძებნება ოპტიმალური თანაფარდობა ფედერაციის და რესპუბლიკის უფლებებს შორის საერთო პრინციპის საფუძველზე: ძლიერი ცენტრი და ძლიერი რესპუბლიკები.

მართალი იყო ა. ნ. იაკოვლევი, როცა მან თბილისში შემოქმედებით ინტელიგენციასთან შეხვედრისას გარდაქმნის პროცესი შეადარა კოლექტიურ ძალისხმევას მწვერვალზე მძიმე ქვის ატანისათვის. აქ შეჩერება შეუძლებელია, სულ წინ უნდა იარო, თუ ეს ქვა უკან დაექანა, იგი როდი შეჩერდება საწყის მიჯნაზე. მოვლენათა ლოგიკა თავისთავად იქითკენ გვეწევა, საითაც ჩვენ ასე მიგვეჩქარება. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს მოძრაობა არაა ლოკალური, მხოლოდ ქართული. იგი საერთო საკავშირო პროცესია, ყველა რესპუბლიკას ახასიათებს და ჩვენც ვალდებული ვართ ამ ფართო და ერთიან ფრონტზე წინ სხვებთან სწორებით და შეთანხმებით ვიაროთ.

ძველი თაობის ზოგი ხელმძღვანელი მიჩვეულია, რომ მისი პოზიცია ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნდეს და საპირისპირო ნაზრევში ხედავდეს ამა თუ იმ ბურჟუაზიული „იზმის" გამოვლინებას. შტამპისაგან თვდაღწეულ აზროვნებაში ისინი ხედავენ საშიშროებას სოციალისტური ქვეყნისათვის, კატეგორიზმი თეორიაშიც და პრაქტიკაშიც ერთნაირად საზიანოა. ჭეშმარიტების ძიება რომ დიალოგითაა შესაძლებელი, ამას ჯერ კიდევ პლატონი და სოკრატე გვასწავლიდნენ. დისკუსია როდი უნდა გამოიყენო იმისათვის, რომ ოპონენტს შენი სიმართლე დაუმტკიცო და მისი უკუაგდო. ნამდვილი პაექრობის მიზანი უნდა იყოს ჭეშმარიტების ძიება საერთო ძალით. კამათში მონაწილენი თანასწორნი არიან, ისე როგორც ეს იყო პლატონის აკადემიაში, ხოლო გამარჯვებას უნდა ზეიმობდეს აზრის მოწიფულობა.

ზომიერებისკენ მოწოდება როდი ეხება მარტო ახალგაზრდობას. რა დასამალავია — პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობაში ზოგან სხედან ადამიანები, რომელთაც გულში კვლავ პატარა სტალინი უზით, ისინი პრობლემებს ჯიქურ სწყვეტენ და ბევრ უტაქტობას იჩენენ. ავტორიტარიზმის ასეთი გენი საერთო ძალისხმევით უნდა აღმოიფხვრას. ახალგაზრდობამ ისიც უნდა ჩაინერგოს გულში, რომ ეროვნული საქმეები ხმაურით არ კეთდება, რომ მომწიფებულ პრობლემათა გადაწყვეტაში მეტი წარმატებები იქნება მიღწეული, თუ ახალგაზრდობა გაითავისებს გარდაქმნის სტრატეგიის მიერ რესპუბლიკის წინაშე დასმული ამოცანების „გადაწყვეტისათვის ბრძოლის აუცილებლობას. ინობილი კანონია, — რევოლუციურ ბრძოლს (ეს ეხება ორგანიზებულ კონტრრევოლუციას) საბჭოთა ქვეყნის რევოლუციურმა-გარდაქმნამ [illegible] ბიზნესი და დარგობრივი [illegible] ლებებიც ეწინააღმდეგებიან როგორც ჩვენი ისტორიული წარსულის ახლებურ გააზრებას, ისე სადღეისო საჭირბოროტო საკითხებისადმი მიდგომას მათთვის უჩვეულო დემოკრატიული მეთოდებით. ქვემოდან მომდინარე შემოქმედებითი ინიციატივა მათ მიაჩნიათ სახელმწიფოებრივი დისციპლინის მოშლისა და ანარქიზმის გამოვლინებად და ჰგონიათ, რომ თუ არ გაძლიერდა ბრძოლა საზოგადოებრივ აქტივობასთან, საფრთხე ემუქრება სოციალიზმს. გარდაქმნის შეგნებული მოწინააღმდეგენი თავს არ იზოგავენ ახალგაზრდული მოძრაობის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ეწევიან იმის პროპაგანდას, რომ თითქოს, წარსულში ქექვა და ძველ „ჭეშმარიტებათა" გადაფასება იწვევს ახალგაზრდობის იდეურ განიარაღებას, საზოგადოებრივ ტრავმას, ამსხვრევს იმ იდეებს, რაც საბჭოური წყობილების ძლიერების საფუძველია. ასეთი პოზიციის სათავე ისევ და ისევ დაბალი პოლიტიკური კულტურაა, და იგი მკვეთრი რეაქციაა ამ ახლებური მოძრაობის მიმართ, რომელიც ბუნებრივია, ძველ სტერეოტიპულ ჩარჩოებში აქამდე სულშეხუთული, მეტ სივრცეს, მეტ გასაქანს, თავისუფალ სუნთქვას საჭიროებს.

პოლიტიკური კულტურა ყველგან და ყველა ვითარებაში ხასიათდება სიტყვის პასუხისმგებლობით. სიტყვის პასუხისმგებლობის გრძნობა ქართველ ხალხს ოთიდგანვე მოსდგამს. „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების", — გვასწავლის ბრძენი რუსთაველი. ეს შეგონება ხალხმა, როგორც ჩანს, იმთავითვე გაითავისა და ზეპირსიტყვიერებაში ქართული ელფერით გაალამაზა კიდეც — „ძველსა და ახალ ღვინოსა, განა სულყველას სმა უნდა, პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სულყველას თქმა უნდა"!

ისტორიულად დამახასიათებელი ჩვენი ეს თვისება დღეს, საჯაროობისა და დემოკრატიზმის ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დღეს ყველაზე მეტია საშიშროება იმისა, რომ უპასუხისმგებელო სიტყვა, დაუფიქრებელი აზრი, აღვირშეშვებული, მოუზომავი მსჯელობა ანარქიისკენ მოწოდებად იქცეს, კანონისადმი უპატიცემულობად, მის საწინააღმდეგო მოქმედებად გადაიზარდოს.

სწორედ ასეთი უპასუხისმგებლობისა და აღვირმიშვებული საქციელის შემთხვევები გამოვლინდა ახლახან წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როცა ამომრჩეველთა ზოგიერთი ჯგუფი მეტისმეტ ემოციებს აჰყვა, რამაც ისინი „თავიანთ კანდიდატთა" მეტოქეებთან „ბრძოლაში" სამართალდარღვევებამდეც კი მიიყვანა.

მაღალი პოლიტიკური კულტურა იმასაც გულისხმობს, რომ ცდილობდე გააერთიანო ქვეყნის შინაგანი ძალები, ესწრაფვოდე რომ ყველა ასაკისა და სქესის თანამემამულე შემოიკრიბო. ისევ ბრძენ ილიას მივმართოთ: განა მშვენივრად არ იცოდა მან რომ XIX საუკუნის 60-80-იანი წლების საქართველოში გლეხისა და მებატონის, ვაჭარ-მრეწველისა და პროლეტარის ინტერესთა შერიგება ისტორიის კანონით შეუძლებელი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კლასთა ჰარმონიის თეორიას ჰქადაგებდა იმ მიზნით, რომ ყველა ქართველის გულში ერთნაირად გაეღვივებინა გრძნობა ეროვნული თავისუფლების პრიმატობისა. განა ვერ ხედავდა იგი, რომ თავადაზნაური კონსერვატორები თერგდალეულთგან განსხვავებულ პოზიციას ადგნენ, მაგრამ როგორ იღვწოდა, რომ საერთო ეროვნულ საქმეში გვერდით ამოეყენებინა დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი და სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელნი მამათა თაობიდან. დღეს ზოგიერთს კი მამებთან თანამშრომლობა ამაოებად მიაჩნია და უკან არ დაიხევს, რომ უფროსი თაობა ისტორიის სანაგვეზე გადაისროლოს.

ბოლოს მე მინდა მაინც ერთი პრაქტიკული საკითხი დავაყენო: საზღვარგარეთულ უნივერსიტეტებში დიდ პატივშია მეცნიერების ის დარგი, რასაც პოლიტოლოგია ჰქვია. ამ საგანს ასწავლიან, იკვლევენ და საამისოდაა გამიზნული კადრები და საკვლევი ინსტიტუტებიც კი. ჩვენში ავტორიტარიზმის წლებში პოლიტოლოგიას ტაბუ ჰქონდა დადებული და საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკაში განსწავლულ ადამიანებს დაკისრებული ჰქონდათ ზემოდან მომდინარე შეხედულებების უარიტიკო კომენტარის მოვალეობა. საჯაროობისა და პლურალიზმის ეპოქაში განსაკუთრებით გაიზარდა პოლიტოლოგიის როლი: ამ საქმეს ახლა ძირითადად ჟურნალისტები უძღვებიან. დროა, რომ პოლიტოლოგთა მომზადება სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად იქცეს. ჩვენც, ქართველებსაც ჩვენი პოლიტოლოგები გვინდა. გვინდა გვყავდეს ეროვნული კადრი ახალგაზრდებისა, რომლებიც მეცნიერულ დონეზე განსჭვრეტენ ჩვენს მომავალს საერთაშორისო პოლიტიკის ფონზე და უნარი ექნებათ საზოგადოებრიობას შესთავაზონ ოპტიმალური არჩევანი. ახლა, როცა სასწავლო გეგმების შედგენასა და პროფილების განსაზღვრაში უმაღლეს სასწავლებლებს დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული, თბილისის უნივერსიტეტს შეუძლია პრაქტიკულად განახორციელოს ეს ღონისძიება. ისტორიის ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალი იძლევა იმის გარანტიას, რომ აქ, თუ ეს სპეციალობა ცალკე გაიხსნა, მომზადდება ქართველ პოლიტოლოგთა მაღალკვალიფიციური თაობები.

აკაკი სურგულაძე.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲛᲔᲝᲗᲔᲯᲔᲓᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო საბჭოთა სისტემის სამართლის პროცესის შემსწავლელთათვის. შრომის ავტორები არიან პროფესორები: ა. ფალიაშვილი, ბ. ფურცხვანიძე, ბ. წარაზიშვილი. დოცენტები: შ. ფაფიაშვილი, მ. ჟურდაძე, დ. ცინცაძე, ა. პაპუაშვილი, რედაქტორები — ა. ფალიაშვილი და ლ. თალაკვაძე.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები აქამდე საბჭოთა სისტემის სამართლის პროცესის კურსს მეოთხედი საუკუნის წინ გამოცემული სახელმძღვანელოთი სწავლობდნენ, რაც ვერ აკმაყოფილებდა დღევანდელ მოთხოვნებს.

გამოცემულ ნაშრომში გათვალისწინებულია საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები 1988 წლის

27 მარტი—თეატრის საერთაშორისო დღე!

შაქვლისი და შუშვენიერესი ენა

ეს-ესაა მადრიდის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალიდან დაბრუნდა სამი ქართული თეატრი. სამი თეატრი — სამი გამარჯვება — აი, წლევანდელი თეატრალური ფესტივალის მონაპოვარი!

ცხადია, ეს დიდი ეროვნული სიხარულია — ფართო საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ.

რუსთაველის სახელობის თეატრისათვის ეს არ იყო პირველი (და ალბათ არც უკანასკნელი).

მარიონეტების თეატრიც, მიუხედავად არცთუ დიდი თეატრალური ბიოგრაფიისა, უკვე ცნობილი იყო უცხოეთის რამდენიმე ქვეყნისათვის.

მარჯანიშვილელებს შედარებით ნაკლებად იცობდნენ ამ მხრივ, მაგრამ რა სასიხარულოა, რომ ეს თეატრიც საყოველთაო ყურადღების არეში აღმოჩნდა (ამის შესახებ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე მოგვითხრობდა თავის მესამე მადრიდულ წერილში).

რაც უფრო ფართოვდება ქართული თეატრის ასპარეზი, მით უფრო იზრდება მაყურებლის მომკითხველობა მშობლიური თეატრის მიმართ.

ქართველი მაყურებელი მეტ სიახლეს, მეტ ძიებას მოითხოვს თავისი უსაყვარლესი თეატრისაგან, გამოჩენილი რეჟისორის რობერტ სტურუას და სახელგანთქმული მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის შეკსპირულ ძალას კი კვლავაც ხელეწიფება ახალი სცენური შედევრების შექმნა. ეს ხომ მათი შემოქმედებითი სახის უცნობი შრეების გამოვლენაც იქნებას! ახალი გასტროლი თუ თეატრალური ფესტივალი ახალი სპექტაკლების შექმნის სიბაბასაც უნდა იძლეოდეს და, უმეტესად, ორიგინალური რეპერტუარის წარდგენის სურვილსაც.

აკი ასე გასაგები გახდა ახლაც ქართული სიტყვა, ქართული ნაციონალური ხასიათი, ქართული ყოფა სერვანტესის ქვეყანაში, სადაც მარიონეტების თეატრისა და მარჯანიშვილის თეატრის წარმატება გაუტოლდა რუსთაველელთა მიერ დაწყებულ ტრიუმფს.

სამი თეატრი — სამი რეჟისორი: რობერტ სტურუა, რევაზ გაბრიაძე, თემურ ჩხეიძე წლევ საერთაშორისო ალიარების შუაგულში აღმოჩნდნენ! მათ კვალში მალე სხვანიც ჩადგებიან — უფრო და უფრო გაიზრდება ქართული თეატრის არეალი.

ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ორ საუკეთესო დადგმას — დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებას“ და ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ გაეცნობიან ხელტემბერში ბულგარელები. ბულგარეთიდან უმასპინძლებს გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრს, ქუთაისელებს — საბერძნეთი, მაჩარაძის ა. წუწუნავას სახელობის თეატრს — უნგრეთი, თელავის თეატრი კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასამგზავრებლად ემზადება. ასეთი მასშტაბური გასტროლები ბოლ გარდაქმნის სასიკეთო შედეგი.

დიდი ტურნე ელის მარიონეტების თეატრს. შუა აპრილიდან მის საგასტროლო რუკას შეემატება საფრანგეთი, ბოლანდია, იტალია, შემოდგომაზე კი ამერიკის შეერთებული შტატები.

სამი ქვეყანა რუსთაველის თეატრის მოლოდინშია: ბულგარეთი, ისრაელი და ფინეთი.

მაგრამ ქართული თეატრალური ხელოვნება მარტო სტუმრის როლში როდი გამოდის, საქართველო გულმხურვალე მასპინძელია... აი, სწორედ მარტში გვეწვია ცნობილი ინგლისელი რეჟისორის პიტერ ბრუკის დასი და ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ ჩამოიტანა. ჩეხოვი საერთაშორისო თეატრალურ სამყაროში რომ დიდად მოსწონთ, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ როცა ისეთი დიდი ხელოვანი, როგორიც ბრუკია, „ალუბლის ბაღს“ ჩაკიდებს ხელს, ამით თანამედროვეობის მტკივნეულ სიმსაც ეხება — ადამიანის სულისა და ადამიანის მონაპოვრის ჩვილი ბავშვივით გაფრთხილების აუცილებლობას, ბუნებისადმი გულისხმიერებას და თვით ამ ბუნების უყვარს მგრძნობიარე მეტკეიდრისადმი — ადამიანთა მოდგმისადმი სათნოების გამოფენას ქადაგებს. ის, რაც ტეშმარიტ სცენურ ენაზე ამეტყველდება, ერთნაირად გასაგები ხდება მრავალეროვანი მსოფლიოსათვის, ეს კი ნიშნავს და ამტკიცებს, რომ თეატრის ენა საერთაშორისო ენაა.

გაუმარჯოს ამ უძველეს და უმშვენიერეს ენას, რომელიც ხალხთა დამეგობრებასა და მშვიდობის განმტკიცების დიდ საქმეს ესაწინდრება.

ნანა ღვინეფაძე.

მეგობრობის დასაბამი

ახალი შემოქმედებითი კონტაქტები

ამას წინათ ჩვენმა საზოგადოებრიობამ მახარაძის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის 120 წლის იუბილე აღნიშნა. უკანასკნელ ხანს ამ თეატრის აქტივში საგულისხმო მოვლენები დაგროვდა. მათ შორის შემოქმედებითი კონტაქტებიც იგულისხმება. ეს კონტაქტები ამჯერად საზღვარგარეთის მასშტაბითაც განივრცო. ახლახანს თეატრმა მაყურებელს წარუდგინა თანამედროვე უნგრელი დრამატურგის აკოშ კერტესის ორმოქმედებიანი კომედია „დღეობა“, რომელიც დადგა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მარი იასაის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატმა, ქალაქ სეგედის ეროვნული თეატრის რეჟისორმა იანოშ შანდორმა. სპექტაკლის პრემიერას დაესწრო სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი იოკეფ კერი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი **მარინე ბუზუკაშვილი** შეხვდა სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს **იანოშ შანდორსა** და მახარაძის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს **ვასო ჩიგოგიძეს.**

იანოშ შანდორი: — უკვე ოცდახუთი წელია თეატრში ვმუშაობ. აქედან უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ქალაქ სეგედის ეროვნულ თეატრს ვხელმძღვანელობდი. პარალელურად ვთანამშრომლობ უნგრეთის ტელევიზიასა და პრესაშიც. ბევრს ვმოგზაურობ და ხშირად ვდგამ საზღვარგარეთ. ამჟამად მახარაძის თეატრის მოწვევით თანამედროვე უნგრელი დრამატურგის აკოშ კერტესის „დღეობა“ დავდგი. აკოშ კერტესი ძალზე საინტერესო მწერალია. უკომპრომისობის გამო კარგა ხანს ელოდა აღიარებას. გამოხდა ხანი და, ბოლოს და ბოლოს, სცნეს იგი. ოფიციოზისგან განსხვავებით მის შემოქმედებას ყოველთვის ეტანებოდა ჩვეულებრივი მკითხველი, რადგან მწერლისეული სიმართლე ჭეშმარიტ სიკეთეაზიარებდა. რეჟისორისთვისაც მის დრამატურგიაში სწორედ ეს სიმართლეა ამოსავალი წერტილი. პიესის პრობლემა საყოველთაოა და, ამდენად, თანაბრად აქტუალურია ჩვენთვისაც და თქვენთვისაც. „დღეობა“ ოჯახური ურთიერთობის საკითხს იკვლევს. სიყალბეზე აგებული ურთიერთობა ოჯახიდან აუცილებლად ვრცელდება ადამიანური დამოკიდებულების ყველა ფორმაზე, რადგან ოჯახი საზოგადოების საფუძველია.

პირადად მე ძალზე მოხარული ვარ, საქართველოსთან ურთიერთობის ბედნიერება რომ მომეცა. მახარაძეთა სახით ნამდვილი მეგობრები შევიძინე. ამას ეხლოდ სტუმრისათვის საკადღებულო თავაზიანი ქართინაურის გულისთვის რომ არ ვამბობ, ალბათ, იმითაც დავამტკიცებ, რომ უკვე სერიოზულად მივყავი ხელი ქართული ენის შესწავლას. მოხიბლული ვარ მახარაძის თეატრის კოლექტივით. იშვიათად მინახავს ასე შეკავშირებული ადამიანები. თეატრის ხელმძღვანელობამ მუშობისათვის მაქსიმალური პირობები შემიქმნა. მსახიობების მონდომება და ერთსულოვნებაც დიდად მეხმარება. მინდა ვაღიარო: ეს კოლექტივი ერთობ შორსაა იმ შინაარსისაგან, ჩვეულებრივ, პროვინციული თეატრის გაგებაში რომ ვგულისხმობთ დღეს. უღრმესი მადლობა მათ.

ვასო ჩიგოგიძე: — მახარაძის თეატრი უნგრულ სამყაროს პირველად როდი ხვდება. 70-იან წლებში გამართულ უნგრული დრამატურგიის საკავშირო ფესტივალში ჩვენმა თეატრმაც მიიღო მონაწილეობა და ნოდარ იოსთამიშვილს მიერ დადგმული ლაიოშ მეშტერჰაზის „მეთერთმეტე მცნება“ ფესტივალის ჯილდოთი აღინიშნა. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ საკავშირო თეატრალური საზოგადოების სპეციალურ ჯგუფთან ერთად უნგრეთში ყოფნის დროს ეროვნული თეატრის დირექტორმა, რომელიც აღნიშნული საკავშირო ფესტივალის ეიურის წევრი გახლდათ და იქიდან იცნობდა მახარაძის თეატრს, შემომთავაზა თანამშრომლობა. რამდენადაც მიმდინარე წელს კვლავ ეწყობა ეგზოტიკული დრამატურგიის საკავშირო ფესტივალი, ჩვენს თეატრს საკავშირო კულტურის სამინისტრომ შესთავაზა კვლავ მიეღო მონაწილეობა მასში. წინადადებას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომაც და, ცხადია, თეატრმაც სიამოვნებით გაიზიარა იგი. ყოველივე ამას იანოშ შანდორის მიერ ჩვენს სცენაზე დადგმული „დღეობა“ მოჰყვა შედეგად. ამასთანავე, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის „მეგობრობის თეატრის“ ხაზით წელს, იანვარში, კვლავ გახლდით უნგრეთში, სადაც გამოიკვეთა სრულიად რეალური პერსპექტივა ჩვენი თეატრის თანამშრომლობისა ზალაგერსეგის თეატრთან. გაისად უნგრეთში საბჭოთა დრამატურგიის ფესტივალი იმართება და ამასთან დაკავშირებით უნგრელმა კოლეგებმა მათთან სპექტაკლის დადგმა შემომთავაზეს. არჩევანს ალბათ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე შევაჩერებ, შემდეგ კვლავ უნგრელი რეჟისორი ჩამოვა საპასუხო ვიზიტად. რეჟისორების გაცვლის გარდა გეგმაშია ჩვენი თეატრების გაცვლითი გასტროლებიც არის. კიდევ ერთი მთავარი მომენტი ამ აქციაში: ჩვენი თეატრების ურთიერთობათა პერსპექტივამ წარმოშვა მახარაძის დამამობილების იდეა უნგრეთის ქალაქ ზალაგერსეგთან. ამასთან დაკავშირებით აპრილში ხელშეკრულების გასაფორმებლად გვეწვევა ოფიციალური დელეგაცია უნგრეთიდან.

რაც შეეხება საკუთრივ „დღეობას“, მახარაძის თეატრი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ სპექტაკლს. ჩვენი თეატრის ისტორიაში ეს უკვე ოელ რეჟისორთან თანამშრომლობის პირველი შემთხვევაა, რამაც სათანადო შემოქმედებითი იმპულსი მისცა კოლექტივს.

რეჟისორის ნათქვამს იმასღა დავსძენთ, რომ პიესის თარგმანი ეკუთვნის ზ. ბახტაძეს, სპექტაკლის მხატვარია ლ. მურუსიძე. წარმოდგენაში მონაწილეობენ მსახიობები ა. ქადეიშვილი, ზ. თოთიბაძე, ო. ურუშაძე, ი. ჯიჯეიშვილი, ც. ლოლაძე, მ. ავაქიანი, ნ. ჯუღელი, ვ. ხუხუნაშვილი, ი. უჯამაჯერიძე, მ. ტოროტაძე, კ. სარიშვილი.

...ასე რომ, „დღეობის“ დადგმით ახალი შემოქმედებითი კონტაქტები იწყება მახარაძის თეატრის ცხოვრებაში.

ამერიკელი სოპრანო თბილისში

თბილისს ეწვევა ამერიკელი სოპრანო, „მეტროპოლიტენ ოპერის“ სოლისტი. ფილის დემეტროპოლოსი, რომელიც ამ ბოლო სეზონებში განსაკუთრებული წარმატებით გამოდის მსოფლიოს დიდ საოპერო სცენებზე.

ფილის დემეტროპოლოსი წარმომობით ბერძენია, ალბამას შტატში, ქალაქ მობილეში დაიბადა. მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს თავდაპირველად ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეუფლებოდა „მეტროპოლიტენის“ სახელგანთქმული მეცო-სოპრანოს ელენე ნიკოლაიდისის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი სწავლა ფილადელფიის ვოკალური ხელოვნების აკადემიაში განაგრძო დინო ფანაპოლოსთან, რომელიც მოგვიანებით მისი იმპრესარიო გახდა. მომღერალმა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება პირველად 1981 წელს, კორფუს საერთაშორისო ფესტივალზე მიიპყრო, სადაც ლიზას პარტია შეასრულა „სომნამბულაში“. ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ მიიწვიეს ამ ყოველი ოვაციონისტისათვის ზეტად მნიშვნელოვან ფესტივალზე და არიადნას პარტიით (რ. შტრაუსის „არიადნა ნაქსოსზე“) წარსდგა მსმენელთა წინაშე.

კორფუში მოპოვებულმა აღიარებამ მომღერალს მრავალი ქვეყნის საოპერო სცენისაკენ გაუკაფა გზა. სულ მალე მისი მონაწილეობით გაიხსნა ახალი სეზონი საბერძნეთის ეროვნულ თეატრში — პუჩინის „ბოჰემაში“ მან მიმის პარტია შეასრულა. ამას მოჰყვა გასტროლები ინგლისში, შოტლანდიაში, საფრანგეთში, უნგრეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

ფ. დემეტროპოლოსის „ამერიკული დებიუტი“ ნიუ-იორკში, ლინკოლნის ცენტრში გაიმართა, სადაც როსინის „სტაბატ მატერსა“ და დინოს კონსტანტინიდის „ანტიგონეში“ მონაწილეობდა.

ფ. დემეტროპოლოსის შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ფურცელია ჩიო-ჩიო-სანის პარტიის შესრულება, რომელსაც საოპერო ელიტისა და კრიტიკის უმაღლესი შეფასება მოჰყვა: „ფ. დემეტროპოლოსს ჯადოსნური სოპრანო აღმოაჩნდა. მან გაგვაკვირვა თავისი მუსიკალური შესაძლებლობებით, შესრულების კულტურით, შთამბეჭდავი კრეშენდოებით... მისი შთამბეჭდავი ხმა განსაკუთრებით ძლიერად ჟღერს მაღალ რეგისტრში“... — წერდა გაზეთი „ფილადელფია ინქვაიერი“. სწორედ „ჩიო-ჩიო-სანში“ მოპოვებულმა წარმატებამ განსაზღვრა მომღერლის შემოქმედებითი ბედი და სულ მალე იგი „მეტროპოლიტენ ოპერაში“ მიწვეულ მეტად რთული და მნიშვნელოვანი პარტიების შესასრულებლად, როგორიცაა მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი“), ნედა (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), დონნა ანა (მოცარტის „დონ ჟუანი“), ტოსკა და ლიუ (პუჩინის „ტოსკა“ და „ტურანდოტი“), ვიოლეტა (ვერდის „ტრავიატა“) და სხვა. მომღერალი მეტად სიხტერესო კამერულ რეპერტუარსაც ფლობს— შუბერტის, შუმანის, ბრამსის, რაველის, დებიუსისა და სხვათა ნაწარმოებებს.

ფილის დემეტროპოლოსი სსრ კავშირს პირველად ამ ოროდე წლის წინათ ეწვია და დიდი თეატრის სცენაზე „ტრავიატაში“ იმღერა. მისი პარტნიორები იყვნენ ვლადიმერ ატლანტოვი და იური მახროკი. სულ მალე იგი კვლავ მოიწვიეს დიდ თეატრში ჩიო-ჩიო-სანის პარტიის შესასრულებლად. მისი ამჟამინდელი სტუმრობა ლენინგრადის კიროვის სახელობისა და ჩვენს საოპერო თეატრებში გამოსვლებსაც ითვალისწინებს. თბილისელთა წინაშე მომღერალი 28 და 31 მარტს წარსდგება და ვიოლეტას პარტიას შეასრულებს „ტრავიატაში“.

ლონდა ესაძე.

„ბალ-მასკარადის“ ბრწყინვალება

ვერდის ოპერის ყოველი ახალი დადგმის შემდეგ სპექტაკლის პროგრამა ძალაუნებურად გახსენებს თეატრის ისტორიას— აკი მასზე აღნიშნულია ნაწარმოების პირველი აღიერების დროც და თბილისის თეატრში მისი პირველი დადგმის თარიღიც. და ყოველთვის გაოცებას იწვევს ის მოკლე ინტერვალი, რომელიც ამ ორ თარიღს აშორებს ერთმანეთისაგან. ასე იყო ამჯერადაც, როდესაც „ბალ-მასკარადის“. პროგრამა შეავთვალიერე. იგი 1859 წელს დაიდგა იტალიაში და სამი წლის შემდეგ უკვე თბილისის სცენაზე გადიოდა. (დღეს ასეთ მოკლე დროში ახალი ნაწარმოების დადგმაზე კი არა, პარტიტურის მიღებაზეც არ შეიძლება ოცნება, თუმცა ეტლი ავიაციამ შეცვალა).

იტალიურ მუსიკასთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობა იმ დროს მრავალ ფაქტორთან ერთად იმანაც განაპირობა, რომ თბილისში იტალიური საოპერო დასი მოღვაწეობდა. ამ დასში მოგვიანებით ჩნდება რუსული გვაცესში. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სპექტაკლი გამოირჩევა ნაწარმოების მთლიანი დრამატურგიული კონცეფციის სწორი კოორდინირებით. დაძაბულობის მუხტი დირიჟორის პულტთან გამოჩენისთანავე წარმოიქმნება და გადაეცემა ორკესტრს. ძირითადი იმპულსი პირველივე ტაქტში იბადება, მთელი სპექტაკლის ძირითად დინამიურ ღერძად იქცევა და ბოლომდე გასდევს. ამ მუხტის ნყალობით ჯანსუღ კახიძის შესრულებაში არასოდეს იგრძნობა მდორე მდინარება, ყოველივე შინაგან ვნებას ექვემდებარება. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ მისი ორკესტრის ბრწყინვალებას, მუსიკალური აზრის წარმართვის ოსტატობას და მაინც გაჩნდა პირადად ჩემთვის „ბალ-მასკარადში“ დეტალი, რომელიც ამ სპექტაკლის დამახასიათებლად აღვიქვი. ეს იყო გასაოცრად რბილი პიანო (განსაკუთრებით სასაფლაოზე ვარვიკისა და ამელიას შეხვედრის სცენაში). რ. შტრაუსის „სალომეს“ ფინალსა თუ ვერდის „დონ კარლოსის“ ლირიკულ სცენებში კახიძისეული პიანო მართლაც ძალზე გამომსახველია, მაგრამ შორეულად მაინც შეიგრძნობოდა ის სიხისტე, საერთო დრამატურგიიდან მომდინარე დემონური სანყისის პრიორიტეტი რომ წარმოშობდა. აქ კი ყოველივე თბილი ფერების გამას ექვემდებარება და ადამიანური განცდის, სევდის, ტკივილის გრძნობას ბადებს.

ჯანსუღ კახიძე მთლიანად იმორჩილებს ორკესტრს, გუნდს, სოლისტებს და თითოეულ შემსრულებელს აიძულებს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს, იქცეს მთლიანის ორგანულ ნაწილად. ამის ნყალობით სპექტაკლში საშემსრულებლო-პროფესიული დონის შკალამ მაქსიმუმს მიაღწია.

სპექტაკლის ღირსება მხოლოდ მაღალპროფესიული მუსიკალური დონე როდია. თითოეული სახე ზუსტად და ფაქიზად იყო დამუშავებული და გააზრებული სცენურად. ეს ბუნებრივიც არის, რადგან სპექტაკლი დადგა მიხეილ თუმანიშვილმა, რომლის რეჟისურის ერთ-ერთი უმძლავრესი მხარე სწორედ მსახიობთან მუშაობის ოსტატობაა. მისთვის მომღერალი იგივე დრამატული მსახიობია და არავითარ კომპრომისზე არ მიდის. ისეეთ მოითხოვს სცენურ დამაჯერებლობას, როგორც ვოკალური ინტონაციის სიწმინდეს, რადგან ეს უშუალოდ აირეკლება სიმღერაში და ბევრად ანელებს საოპერო პირობითობის, ხელოვნურობის შეგრძნებას. მის მიერ დადგმულმა სამივე საოპერო სპექტაკლმა („დონ ჟუანი“, „აბესალომ და ეთერი“, „ბალ-მასკარადი“) აშკარა გახადა ამ დებულების ჭეშმარიტება. უნდა ვიფარაუდოთ, რომ გარკვეული შედეგებსაც მიაღწია. იქნებ ესეც არის მიზეზი, რომ მიხეილ თუმანიშვილი არ თმობს საოპერო თეატრს, თუმცა „დონ ჟუანის“ შემდეგ ამბობდა საოპერო სპექტაკლს აღარ დავდგამო. (არადა, დღეს ცხადია, რა დიდი დანაკლისი იქნებოდა თეატრისათვის ეს აზრი რეალობად რომ ქცეულიყო).

მიხეილ თუმანიშვილის რეჟისურა უმჭიდროესს კონტაქტებში, საუკუნის ბოლოს კი კანტატკუნტად ქართველ მომღერალთა გვარესაც ვხვდებით. ალბათ, რა სიხარულს იწვევდა მაშინ ყოველი ახალი ქართული გვარის გამოჩენა სათეატრო აფიშაზე, თუ ყოველი ნიჭიერი ახალგაზრდის დებიუტით გამონვეული სიხარული უსაზღვროა დღესაც, როდესაც ქართულმა ვოკალურმა სკოლამ უკვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, როდესაც ქართველ მომღერლებს ვხვდებით მსოფლიოს უდიდეს საოპერო სცენებზე.

ახლაც მღელვარებამ მოიცვა ოპერის მოყვარულნი, რადგან „ბალ-მასკარადში“ მთავარი გმირის რიკარდო ვარვიკის როლის შესასრულებლად სრულიად უცნობი ახალგაზრდა, კონსერვატორიის კურსდამთავრებული ნუგზარ გამგებელი ემზადებოდა. უცნობს იმიტომ ვამბობთ, რომ იგი ფართო აუდიტორიის წინაშე არც კონცერტზე, არც რაიმე მეორეხარისხოვან პარტიაში არ გამოსულა, არც „დაისსა“ ან „აბესალომ და ეთერში“ მიუღია ნათლობა, როგორც ტრადიციულად მოსდგამთ ქართველ ტენორებს, თორემ კონსერვატორიაში კარგად იცნობდნენ ნოდარ ანდღულაძის ნიჭიერ მოწაფეს, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა მაესტრო.

მაგრამ მთავარი იყო შედეგი, თუ როგორ გაართმევდა მომღერალი თავს ამ უმძიმეს ამოცანას, რამდენად გამართლდებოდა ჯანსუღ კახიძის რისკი. მაგრამ ამაზე შემდგომ...

ოპერის მუსიკა მომხიბვლელ, შთამაგონებელ მელოდიათა შესანიშნავ ნაკადად მოედინება, ბატონობს ყოფითი რომანსი და საცეკვაო ინტონაცია. მაგრამ ყოველივე დატვირთულია ვერდისეული ემოციური კონტრასტებითა და ინტონაციური შეპირისპირებებით, შუქ-ჩრდილთა მუდმივი მონაცვლეობით, რაც მთლიან დრამატურგიულ ხაზს წარმოშობს და საკარნავალო მხიარულებაში საბედისწერო ტრაგედიას ლოგიკურ გარდუვალობად აქცევს.

ყოველივე ეს მძლავრ იმპულსს აძლევს ჯანსუღ კახიძეს სპექტაკლზე მუშაობის პროცესში. ამ ჯერ სპექტაკლი გამოირჩევა ნაწარმოების მთლიანი დრამატურგიული კონცეფციის სწორი კოორდინირებით. დაძაბულობის მუხტი დირიჟორის პულტთან გამოჩენისთანავე წარმოიქმნება და გადაეცემა ორკესტრს. ძირითადი იმპულსი პირველივე ტაქტში იბადება, მთელი სპექტაკლის ძირითად დინამიურ ღერძად იქცევა და ბოლომდე გასდევს. ამ მუხტის ნყალობით ჯანსუღ კახიძის შესრულებაში არასოდეს იგრძნობა მდორე მდინარება, ყოველივე შინაგან ვნებას ექვემდებარება. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ მისი ორკესტრის ბრწყინვალებას, მუსიკალური აზრის წარმართვის ოსტატობას და მაინც გაჩნდა პირადად ჩემთვის „ბალ-მასკარადში“ დეტალი, რომელიც ამ სპექტაკლის დამახასიათებლად აღვიქვი. ეს იყო გასაოცრად რბილი პიანო (განსაკუთრებით სასაფლაოზე ვარვიკისა და ამელიას შეხვედრის სცენაში). რ. შტრაუსის „სალომეს“ ფინალსა თუ ვერდის „დონ კარლოსის“ ლირიკულ სცენებში კახიძისეული პიანო მართლაც ძალზე გამომსახველია, მაგრამ შორეულად მაინც შეიგრძნობოდა ის სიხისტე, საერთო დრამატურგიიდან მომდინარე დემონური სანყისის პრიორიტეტი რომ წარმოშობდა. აქ კი ყოველივე თბილი ფერების გამას ექვემდებარება და ადამიანური განცდის, სევდის, ტკივილის გრძნობას ბადებს.

ჯანსუღ კახიძე მთლიანად იმორჩილებს ორკესტრს, გუნდს, სოლისტებს და თითოეულ შემსრულებელს აიძულებს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს, იქცეს მთლიანის ორგანულ ნაწილად. ამის ნყალობით სპექტაკლში საშემსრულებლო-პროფესიული დონის შკალამ მაქსიმუმს მიაღწია.

სპექტაკლშიც კულმინაციას ფინალური სცენაში აღწევს. სანყისი ხუთი სურათის მანძილზე გ. ალექსი-მესხიშვილი მისთვის უჩვეულო სცენოგრაფიულ „სიძუნწეს“ იჩენს და გასაოცრად მცირე დეტალებით ქმნის ამა თუ იმ მოქმედების შესატყვის ინტერიერს. ფინალური მასკარადის სცენაში კი ყოველივე გარდაისახება, აკიაფდება და გაციცკროვნდება. ეს სცენა გ. ალექსი-მესხიშვილის უზადო გემოვნების, ფანტაზიის, ოსტატობის დემონსტრაციაა, ფერში აყვავებული ვერდის მუსიკის ზეიმია.

მაგრამ ამ ზეიმში დროდადრო შემოიჭრება ჭმუნვა და მღელვარება. რენატო და ამელია ხსნადასხვა მიზნით ეძებენ დომინოს კოსტუმში გამოწყობილ რიკარდო ვარვიკს. პირველს მისი სისხლი სწადია, მეორეს — ხსნა, ისმის უვერტიურის ორივე თემა — სიყვარულის და შურისძიების. ტრაგედია გარდაუვალია, იგი კიდევ უფრო შემზარავი ხდება ამ კაბკაშა ზეიმის ფონზე.

ზემოთ მოგახსენეთ ჯანსუღ კახიძე მთლიანად იმორჩილებს შემსრულებლებსო... მაგრამ მისი საოპერო დირიჟორის ოსტატობა იმაშიც ვლინდება, რომ ამ „დამორჩილებაში“ არასოდეს გამორჩება შემსრულებლის ინდივიდუალობა და დამახასიათებელი. ეს გამოჟღავნდა იმ სპექტაკლებში, რომლებშიც მთავარ როლებში განსხვავებულ თვისებათა მქონე მსახიობები გამოდიოდნენ.

ციასნა ტატიშვილისა და ზურაბ სოტკილავას სპექტაკლში წარმმართველი დრამატული საწყისი იყო, საოპერო ხელოვნების ამ ორი უდიდესი ოსტატის შესრულებით სპექტაკლმა განსაკუთრებული ღერადობა შეიძინა. გრაფ ვარვიკის პარტია ზურაბ სოტკილავამ რამდენიმე წლის წინათ უდიდესი წარმატებით იმღერა მოსკოვში დიდ თეატრში, როგორც ყოველთვის ამჯერადაც მისი გამოსვლა ჩვენს თეატრში ნამდვილ ზეიმად იქცა. ციასნა ტატიშვილის

პირველი გამოსვლა ამელიას პარტიაში მისი ვოკალური სრულყოფის კიდევ ერთი ნათელი გამობრწყინება გახლდათ. ციასნა ტატიშვილის გასაოცარი ხარისხის ხმა ძალზე შეესატყვისება ვერდისეული მუსიკის ექსპრესიას. მისი ემოცია დაუოკებელ ენებად ილვრება ხოლმე, რაც სრულად გამოკვეთს მუსიკის რომანტიკულ აღტკინებას და ორგანულად ეხმიანება ზურაბ სოტკილავას ტემპერამენტით აღბეჭდილ ვარვიკის სახეს. ამ შესანიშნავ დუეტს კარგად იცნობს ქართველი მსმენელი არაერთი სპექტაკლითა და კონცერტით. ამჯერადაც ეს იყო თანხმიერი, მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილი დუეტი, ფაქიზი ლირიზმით გაჯერებული.

მარიკა მაღლაფერიძისა და ნუგზარ გამგებელის შესრულებისას სპექტაკლში ლირიკული ნაკადი დომინირებდა, ეს თავისებურება ზუსტად განსაზღვრა ჯანსუღ კახიძემ და უკვე უვერტიურაში მოამზადა ნიადაგი სპექტაკლის ამ ინტერპრეტაციისათვის, რითაც უდიდესი დამაჯერებლობა მიანიჭა სპექტაკლის მთელ შემდგომ განვითარებას. მარიკა მაღლაფერიძის ამელია ფაქიზი ფრაზირებით, სიმღერის კეთილშობილი მანერით გამოირჩეოდა. მან შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია ახალგაზრდა ვარვიკს—ნუგზარ გამგებელს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო დებიუტანტისათვის.

წარმატება მოულოდნელი თითქოს არც უნდა ყოფილიყო. კლასში პარტიაზე მუშაობისას კმაყოფილი იყო ყველა. მაგრამ ერთია კლასში სიმღერა, სცენაზე რეპეტიციის სიტუაცია და მეორე — სპექტაკლი, ხალხით ვაჟედილი დარბაზი, უკან დასაბევი გზა რომ მოჭრილი გაქვს. რისკის პირველი შიში გენერალურმა რეპეტიციამ მოხსნა. დამსწრენი აღაფრთოვანა დამწყებმა ტენორმა. მაგრამ არც ეს იყო საბოლოო გამარჯვება. სპექტაკლში მონაწილეობის დაძაბულობას აძლიერებდა ის უდიდესი წარმატება, რომელიც წინად ხდა სპექტაკლს ციასნა ტატიშვილისა და ზურაბ სოტკილავას მონაწილეობით. ნუგზარ გამგებელმა დაამტკიცა, რომ წარმატება გენერალურ რეპეტიციიზე შემთხვევითობა არ გახლდათ, რომ თეატრის დასს შეემატა ნამდვილი მომღერალი მომხიბვლელი ტემბრითა და ძლიერი ელასტიური ხმით, ფართო დიაპაზონით, შინაგანი ვნებითა და მუსიკალური აზრის მორჩილებით აღბეჭდილი.

ვერდის ოპერები კლასიკური სამკუთხედის გარეშე არ არსებობს. „ბალ-მასკარადში“ ეს კონტრასტული, ანტაგონისტური გმირი რენატოა, ამელიას მეუღლე, რომელსაც ასრულებს ელდარ გეწაძე. რენატოს პარტიის პეროიკული ინტონატია ძაბავს ატმოსფეროს. შესანიშნავად ღღერს მისი ხმა ყველა რეგისტრში. მის ემოციათა სფერო იცვლება ვარვიკთან მიმართებაში — თავდადებიდან სიძულვილამდე, შურისძიებიდან გამოუსწორებელი შეცდომით გამოწვეულ სასოწარკვეთამდე. ელდარ გეწაძემ კიდევ ერთხელ გაამჟღავნა მუსიკალური და სცენური სახის მთლიანი გააზრებისა და პარმონიულად წარმოჩენის უნარი.

სრულიად საწინააღმდეგო ინტონაციური შრე შემოაქვს ოპერაში მისან ულრიკას. აქ ისახება გარდამავალი ტრაგედიის საბედისწერო თემა. ულრიკა — თამარ გურგენიძემ ჩინებულად მიაგნო იმ განდგომილ და ოდნავ მოუხეშავ სასიმღერო მანერას მისანი ძალის სახეს მეტ სიმკვეთრეს რომ სძენს და მკვეთრად უპირისპირდება „კეთილშობილ“ გმირთა ამაღლებულ ინტონაციას.

სოლისტთა ამ ანსამბლში ორგანულად ინერება პაჟი — ოსკარი — ლიანა კალმახელიძე. მისი პარტია კიდევ ერთი კონტრასტული ფერია ოპერის დრამატურგიულ ქსოვილში, ხან დაძაბულ, ხან ლირიკულ-მელანქოლური მელოდიების ფონზე უდარდელად, ლაღად რომ ღღერს.

სპექტაკლის ნარმატებებში თავისი წვლილი შეიტანეს თეატრის სოლისტებმა ო. ხოფერიამ, ტ. ჭიჭინაძემ, თ. ჯანგავაძემ, ი. კოკოლიამ, ახალგაზრდა ა. თომაძემ და გუნდმა, რომელმაც მაღალი საშემსრულებლო კულტურა გამოამჟღავნა (ქორმაისტერები ა. ჩხენკელი, შ. შაორშაძე).

ამ სპექტაკლმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ თბილისის საოპერო თეატრს საკმაოდ მძლავრი საშემსრულებლო ძალები ჰყავს, რომ უფროსი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს საინტერესო ცვლა მოსდევს, რომ კარგი ხმა საქართველოში ულევია. რაოდენ სასურველია, რომ სპექტაკლის მაღალპროფესიული დონე სტაბილურად იქცეს ჩვენი თეატრისათვის.

მანანა კორძაია.

□

სურათებზე: მღერიან ციასნა ტატიშვილი და ზურაბ სოტკილავა